№ 280

ორშაბათი, 25 დეკემბერი 1895

1877—1895

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.



№ 280

ორშაბათი, 25 დეკემბერი 1895



რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.



„ივერიის“ ტელეფონი №227


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 29 დეკემბერს**


ხუთშაბათს, 28 დეკემბერს, გარდახდილ იქმნება ნახევარ-წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **მღვდლის თეოდორე ყიფშიძის** სულის მოსახსენებლად ს. სოლოლაშენს.

ჭირისუფალნი განსვენებულისა, აუწყებენ-რა ამას ნათესავთა და ნაცნობთა, სთხოვენ მობრძანდნენ წირვასა და პანაშვიდზედ დასასწრებლად. (1—1)



ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 27 დეკემბერს, 1895 წ.

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

კ. დ. ყიფიანისა.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ ავალიშვილისა, საფაროვისა, კ. ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით

I

## იაკობელები

ა ნ უ

სამეფო ტახტისათვის

დრამა 5 მოქ. კოპესი, თარგ. პ. ყიფიანისა და გრ. ყიფშიძის მიერ.

II

## ბნელ ოთახში

ვოდ. 1 მოქმ.

მონაწილეობას იღებენ: ავალოვისა, საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნნი: ყიფიანი, კ. მესხი, გედევანოვი, გუნია, სვიმონიძე, კანდელაკი, ცაგარელი, ადამიძე, საფაროვი, კორინთელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი


## ტფილისი, 25 დეკემბერი.

—

1895 წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც პალესტინის ერთს პატარა ქალაქს ბეთლემში დაიბადა არსება, რომელსაც უნდა ეხსნა კაცობრიობა განხრწნილებისაგან და ისტორიის ახალი ერა შეექმნა. აგერ ცხრამეტი საუკუნე შესრულდება მალე და მისი მოძღვრება სულ ყოველ ჟამს ფენიქსებრ განახლებული წინ უძღვის კაცობრიობას. მისი მცნება ყოვლის დაღუპულისათვის ხელის ჩასაჭიდებელია და ისეთი ხელის ჩასაჭიდებელი, რომელიც შველასა და ხსნას უქადის ყველას, ვინც-კი მოისურვებს მახედ თავის შემაგრებას. თითქმის ცხრამეტი საუკუნე გავიდა მას მერმე და არ მომხდარა არც ერთი დიდებული ისტორიული მოვლენა, რომ სახარების მოძღვრების პრინციპებით არ ყოფილიყოს სულ-ჩადგმული, მისი მსახურება არ დაესახოს იდეალადა. და დღესაც, როდესაც ახლანდელი გახრწნილი ქვეყანა მოგვაგონებს იმ ძველსა, რომელიც მაცხოვარმა განაახლა, იხსნა გაცამტვერებისაგან, დღესაც სახარების დიადი პრინციპებია მიჩნეული მხსნელად, დღესაც მას შესჩერებია დასუსტებული და გათახსირებული კაცობრიობა და იქ ხედავს თავისი ბნელი ცხოვრების განმანათლებელს მეტეორსა.

მალე ცხრამეტი საუკუნე შესრულდება მას მერე, რაც ებრაელთა ერმა მსოფლიო გენიოსი მოგვცა და არ ყოფილა მის შემდეგ არც ერთი დიდი ნიჭის, დიდი ტალანტის მქონე მეთაური ცხოვრებისა, რომ მოძღვრის დიადი პრინციპების გულწრფელი მოწაფე არ ყოფილიყოს. მართალია, ბევრჯელ დაასახიჩრეს ეს მოძღვრება, მართალია, სიყვარულისა, ძმობისა და სიბრალულის მაგიერ ხშირად კოცონი და მახვილი აღაგეს ამ დიად პრინციპებზედ, მაგრამ ეს ყოველივე წარმავალი იყო. ცხოვრება, აზრი, გრძნობა, დღეს ყოველივე ამ პრინციპებით არის გაჟღენთილი, დიდებული მოძღვრისაგან დასახულის დიადის იდეალის განხორციელებისაკენ ისწრაფვის. როგორც გაზაფხულის სიცოცხლისა და ცხოვრების განმაახლებელის მზის სხივებს ვერას აკლებს ხოლმე ხან-წასულისა და სიცოცხლე გამოლეულის ზამთრის მტრობა, ისე ამ ცხოვრების მაცისკროვნებელ ვარსკვლავს ვერა დააკლო-რა დროებითმა შებღალვამ. დღეს კიდიდან კიდემდე ყოველი ადამიანის გულში ღრმად არის ჩასახული ძვირფასი სიტყვები: «შეიყვარო მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი» და „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის.“ უსაზღვრო სიყვარული ძმისადმი, მისთვის თავის განწირვა, აი უპირველესი მცნება სახარებისა. შეიძლება სხვა ყოველივე გაირყვნას ან უკვე გარყვნილ იყოს დროთა და გარემოების წყალობით, მაგრამ ეგ მცნება-კი დარჩება კაცობრიობის მაცოცხლებელ ნუგეშად. დაე, იქადაგონ ნუ წინააღუდგებით ბოროტსაო, მიეცით კეისრისა კეისარსაო და ამაზედ აღაგონ ქრისტეს მოძღვრების მრავალი სრულიად წინააღმდეგი პრინციპები. მაცხოვარმა მთელის თვისის ცხოვრებით, სიტყვითა და საქმით განახორციელა ზემოხსენებული დიდებული პრინციპები, სული და გული მისი მოძღვრებისა. „მწყემსი კეთილი“ ნიადაგ ეწინააღმდეგებოდა ბოროტს და ბოროტის მოსასპობლად გასწირა თავი, და ამითი უანდერძა ბრწყინვალე მაგალითი მოქმედებისა ყველას, ვისაც განგებამ არგუნა ხალხის მეთაურობა, მისი წინამძღოლობა, მისი მწყსვა.

კიტა.

## ახალი ამბავი

—

*** ჩვენ ნამდვილად გავიგეთ, რომ თ. კირილე ლორთქიფანიძეს თ. მამია გურიელის თხზულებები უკვე მოუმზადებია დასაბეჭდად და გამოუგზავნია ცენზორთან ნების დასართველად 18-ს დეკემბერს. ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ ამბავს. როგორც იქმნა, ძლივს ვეღირსეთ დიდის ხნის ლოდინის შემდეგ ამ ლექსთა კრებულის გამოსვლას, რომელიც, ეჭვი არ არის, ძვირფასი განძი იქნება ჩვენის ლიტერატურისათვის.

*** ხვალ, 26 დეკემბერს, „ტფ. კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართება „თეთრი ბალი“, რომლის შემოსავალი დანიშნულია მეორე კლასიკურ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

*** 27 დეკემბერს «ქართული დრამატიული საზოგადოების» დასი კოტე ყიფიანის საბენეფისოდ წარმოადგენს ფრანსუა კოპპეს პიესას „იაკობელებსა“ და ვოდევილს „ბნელს ოთახში“.

*** ქალაქის საბჭოს უკანასკნელი სხდომა ამ წელს 28 დეკემბრისათვის არის დანიშნული.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი აცხადებს, რომ რადგანაც ახალის წელიწადისთვის მისალოცი დეპეშები ძალიან ბევრი იგზავნება ხოლმე და დროზე ვეღარ ასწრებენ მათს გაგზავნასა, ამიტომ დეპეშის გაგზავნის მსურველთ ადრევე, ე. ი. დღეიდამვე, უნდა წარმოადგინონ დეპეშები ზედ-წარწერით „მისალოცი“, რომელი სიტყვაც გამგზავნელს ანგარიშში არ ჩაეთვლებათ. ყველა მისალოცი დეპეშები მიღების დღიდგანვე გაიგზავნება, ხოლო თვით ადრესატებს ახალის წლის დღეს დაურიგდებათო.

*** მომავალის წლის 5 იანვარს შესრულდება 50 წელიწადი, რაც ტფილისში ისტამბება რუსული გაზეთი „კავკაზი“. ჩვენის ქვეყნის თვითცნობიერების განვითარების ისტორიაში ამ გაზეთს საპატიო ადგილი უჭირავს და ამიტომ ყველანი სიამოვნებით მიეგებებიან ამ ორგანოს იუბილეს.

*** გუშინდელ №-დამ გაზეთი

## ფელეტონი

***

ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი,
კარის-კარ დაწიალებდა;
ხელთ ეპყრა მუხის ფანდური,
ხმა-ტკბილად აწკრიალებდა;
მის საოცნებო ჰანგებში,
ვითარცა სხივი მზიური,
ისმოდა თვითონ სიმართლე
და სიყვარული ციური.
ბევრს აუძგერა იმა ხმამ
გული, ქვად გადაქცეული;
ბევრს გაუნათლა გონება,
ბნელ-უკუნეთად ქცეული.
მაგრამ დიდების მაგიერ,
სად ჩანგმა გაიწკრიალა,
განდევნილს ბრბომ იქ დაუდგა
შხამით აღსავსე ფიალა...
და უთხრეს: „შესვი, წყეულო,
ეგ არის შენი ხვედრიო!
შენი არ გვინდა სიმართლე,
არც ეგ ციური ხმებიო!„...

სოსელო.

### ამბორი.

— უჰ! დედა, დედა, რა მშვენიერია ეს ვარსკვლავი! ღმერთო, ღმერთო, ერთი შეხედე, რანაირად კაშკაშებს, რამოდენა გრძელი ძალიან, გრძელი კუდი აქვს... არ გესმის, დედა, გამიგონე, მოდი ჩემთან, ახლოს აქ მოდი, აქ, აქ, ჩქარა, ჩქარა, თორემ ძირს ეშვება კუდი... მგონი ჩამოვარდნას აპირებს... უჰ, უჰ!.. რა ლამაზია, რანაირად ბრჭყვინავს, შენი ჭირიმე! უცბად დაიძახა პატარა იაკობმა, როდესაც მძინარეს რაღაც არა ჩვეულებრივმა სხივმა ჩაანათა თვალებში.

— რა იყო, რა ამბავია!.. გაიკვირვა შვილის ტიკტიკისაგან გაღვიძებულმა დედამ და თვალებზე ხელი მოისვა, რომ უფრო კარგად დაენახა ეს მშვენიერი ვარსკვლავი, რომელიც ლურჯად მოკრიალებულის ციდამ მზის შარავანდედივით ჩამოშუქებოდა ერთს ადგილს.

— დიდება შენდა ღმერთო! ეს რა არის!.. უფრო გაკვირვებით წამოიძახა შეშინებულმა ქალმა და საჩქაროდ ხელი მოჰხვია თავისს პატარა იაკობს, უნდოდა ისევ ჩაეწვინა ლოგინში, რომ ამ საკვირველის სანახაობით არ შეშინებოდა ბავშვს, მაგრამ პატარა ბავშვი ხელიდამ გაუსხლტა დედას და პერანგის amara გავარდა გარეთ.

— უჰ! რა მშვენიერება ხარ, რა ბრჭყვიალა ხარ, შენი ჭირიმე, დიდხანს არ ჩამოვარდე... მაგრე, მაგრე შესჭიკჭიკებდა ვარსკვლავს სახლიდამ გამოქცეული იაკობი, რომელსაც შიშისაგან აკანკალებული დედა უკან მოსდევდა.

— სად მირბიხარ, სად? მობრუნდი, გაჰკიოდა დედა, მაგრამ იაკობს აღარაფერი ესმოდა, ისე იყო აღფრთოვანებული.

შეშინებულს სეფორას უეცრად მოესმა ხალხის ხმაურობა. ყველა გამოეღვიძებინა ამ ბრწყინვალე ვარსკვლავის სხივს, ყველას გული შიშითა და საკვირველებით იყო აღვსილი. პატარა ბავშვები გამოსდგომოდნენ მშობლებს და იმათ ხმაურობას უერთდებოდა მათი ჟივილ-ხივილიც.

პატარა იაკობი მალე შეუერთდა თავისს ტოლ-ამხანაგებს და აღტაცებით ახარა, რომ ყველაზე უწინ მე დავინახე ეს ვარსკვლავიო.. მთელი სოფელი შესძრა ამ არა ჩვეულებრივმა მოვლენამ. მოხუცი და ახალგაზდა, ყველა ერთმანეთს ჰკითხავდნენ, რა მოხდაო... ზოგი პირქვე-დამხობილი შეჰღაღადებდა ზეცას და ზოგიც გაშტერებული მისჩერებოდა ციდამ ჩამოსულს ბრწყინვალე სვეტს. იაკობის გულს-კი არავითარი შიში არ ეკარებოდა. მან საჩქაროდ გაიტაცა თავისი ტოლები დღესავით განათებულს მინდორზე, და—თითქო რაზმთა სარდალიაო—ისე წაუძღვა ბავშვებს.

— ოჰ, რა კარგია, რა ნათელია, იძახოდა იაკობი და სხვებთან ერთად ხტოდა და ცეკვობდა.

— იცით, ბავშვებო, ძირს რომ ჩამოვარდეს ეს ვარსკვლავი, რა კარგი იქნება! როგორც დღე ისე განათებული იქნება ყველაფერი და სულ ვითამაშებთ, არა? შეეკითხა იაკობი ამხანაგებს.

— მერე, ხომ დასწვავს ჩვენ სახლებს! უპასუხა ერთმა.

— მზეც არის ხოლმე, მაგრამ კი არაფერსა სწვავს. ისე რომ ჩამოვიდეს, არაფერი არ დასწვას, ჰერიჰა... მაშინ ღამე აღარ იქნება და სულ მუდამ ვითამაშებთ და ვითამაშებთ ამ მინდორზე!..

— მართლა, რა კარგი იქნება! ერთხმად დაეთანხმნენ სხვებიც.

— მაშინ ჩემი პატარა მტრედი იფრენს და იფრენს... ხა, ხა, ხა... საყვარელია, რა კარგი იქნება, გადიხარხარა იაკობმა.

— აბა, აბა, ჩემი შოშიაც მთელ დღეს იჟღურტულებს... ჩაერია ლაპარაკში სხვა.

— ჩუ... ეს რა ხმა ისმის!.. გაჩუმდით, გაჩუმდით, დაუყვირა მოკისკისე ბავშვებს იაკობმა... ბავშვებმა ხმა გაჰკმინდეს და იქით-აქეთ დაიწყეს ყურება, რომ გაეგოთ საიდამ ისმოდა ეს მშვენიერი ხმა. მაშინ, როდესაც სხვები იქით-აქეთ იხედებოდნენ, იაკობს თვალები ზეცად აღეპყრო და გაქვავებულივით უძრავი ბავშვი სრულის ნეტარებით ისმენდა ციურ ანგელოსთა გალობას. იაკობის დანახვაზე ბავშვებმა საჩქაროდ აჰხედეს ზეცას და იმათაც უფრო გარკვევითა და მწყობრად მოესმათ ეს ხმა, ხმა სიხარულისა და ნეტარებისა.

განცვიფრებული ხალხი დიდხანს იდგა მინდორზე. ბოლოს, როცა ყველა დედ-მამა თვისის შვილებით დაბრუნდა სახლში, გულ-გაშფოთებული სეფორა ისევ ისე დაეძებდა თავისს დედის-ერთა შვილს, რომელიც გაშტერებული იდგა ბრწყინვალე ცის ქვეშ და გულ-მოდგინედ ყურს უგდებდა ანგელოსთა ღაღადს.

II

— ჩვენს სოფელში ტყუილად არ არის ჰკვიან ქალად ცნობილი სე-

„ნოვ. ობოზ.“ გადიდებულ ფორმატით გამოდის.

*** ჩვენ მივიღეთ „ტფილისის სომხურ გამომცემელ ამხანაგობისაგან“ გამოცემული სურათებიანი ლოტო. ლოტო ღირს ექვსი აბაზი, გაგზავნით შვიდი აბაზი.

*** სოფ. ღამის-ყანა: 10 დეკემბერს ღამის-ყანაში აკურთხეს სოფლის სკოლა, რომელშიაც 15 გიორგობისთვიდამ სწავლა სწარმოებდა. ესე სხვა-და-სხვა დროს კურთხევა და სწავლის დაწყება იმიტომ იყო, რომ, როგორც გარდმოგვცეს, მასწავლებელს დრო მისცემოდა და ხორო მოემზადებინა კურთხევისათვის, რასაც დიდი გავლენა აქვს ხალხზედ. ხალხი და იქ დამსწრე საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩით, რომ ამ ცოტა ხანში სოფლის ბავშვები მწყობრად გალობდნენ პარაკლისის საგალობელს ორ ხმად.

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება.

შაბათს, 23 დეკემბერს, კვლავ შესდგა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. ამ კრებას, როგორც ვიცით, უნდა გადაეწყვიტა შესანიშნავი საგანი იმის შესახებ, დატოვებულ იქმნას სათავად-აზნაურო სასწავლებელი იმავე მდგომარეობაში, როგორც აქამდე იყო, იმ სახედვე, თუ გადაკეთდეს. რვა სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა, რომელთა შორის ზოგი რეალურს სწავლას ემხრობოდა, ზოგი—კლასიკურს, ზოგი—ორივეს ერთად, ზოგი—ერთ-ერთს მათგანს სამეურნეო სასწავლებელთან ერთად და სხ. კრებამ ეს რვავე აზრი განსაჯა. ეს განსჯა ნაშუაღამევის ორ საათამდე განეგრძო. უმეტესობა დაეთანხმა კომისიის წევრთა უმრავლესობის-მიერ გამოთქმულს იმ აზრს, რომ აწინდელი სათავად-აზნაურო სასწავლებელი დატოვებულ იქმნას იმ სახედვე, როგორც ეხლა არსებობსო.

ნაშუაღამევის ორს საათზედ საზოგადოების გამგე კომიტეტის წევრმა და კრების თავმჯდომარემ ბ-მა რ. ნ. ყაზიბეგმა ოთხი საკითხი დაადგინა კრების გადასაწყვეტად:

1) დატოვებულ იქმნას ჩვენს სათავად-აზნაურო სასწავლებელში კლასიკური ხასიათი სწავლისა, თუ იგი შეიცვალოს ვითარცა შეუფერებელი ქართველთა ცხოვრებისათვის.

2) თუ შერჩენილ იქმნას ეს ხასიათი, პროგიმნაზიადვე იქმნას დატოვებული, თუ სრულს გიმნაზიად დამთავრდეს.

3) თუ დატოვებულ იქმნას პროგიმნაზიადვე, იმასთან ერთად პარალელი რეალური კლასები დაიმართოს თუ არა, და

4) თუ კლასიკური ხასიათი დაწუნებულ იქმნას, რაგვარი სასწავლებელი დაარსდეს იმის ნაცვლად.

ამ საკითხების გადაწყვეტაზე კრებას ორი ცნობა მოჰხსენდა. პირველი განაცხადა სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორმა ბ-ნმა ე. ს. თაყაიშვილმა იმის შესახებ, რა განსხვავებაა კლასიკურ და რეალურ გიმნაზიებში დაწესებულ სწავლათა შორის. ამ შედარებიდგან აღმოჩნდა, რომ დიდი განსხვავება არა ყოფილარა, იმის გარდა, რომ კლასიკურს გიმნაზიაში ლათინურსა და ბერძნულს ენას ასწავლიან, ხოლო რეალურში—ფრანგულსა და გერმანულს ენას. შემდეგ ბ-ნმა ი. რატიშვილმა წაიკითხა მე-6 §-ი კავკასიის სამოსწავლო ოლქის კერძო სასწავლებლების წესებისა, რომელშიაც ნათქვამია, რომ კერძო სასწავლებლების მოსწავლეებს ნება აქვთ უნივერსიტეტში შესვლისა, მხოლოდ ეგზამენი მთავრობის გიმნაზიაში უნდა დაიჭირონ ამ გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად, ან ცალკე და ისინი სწავლის მხრივ იმ მასწავლებლებმავე უნდა გამოსცადონ, რომელთ ხელქვეშაც უსწავლიათ, მთავრობის გიმნაზიის მასწავლებლების თანადასწრებითაო.

კრებამ ფეხზედ ადგომით კენჭი უყარა თავმჯდომარის მიერ დადგენილს კითხვებს და ხმის უმეტესობით გადასწყვიტა: დატოვებულ იქმნას სათავად-აზნაურო სასწავლებელი იმ სახედვე, როგორც ამ ჟამად არის, ხოლო შეძლებისამებრ იგი მთელს გიმნაზიად იქმნას გადაქცეული. რაკი პირველი ორი საკითხი გადაწყდა, მესამე და მეოთხე საკითხის გადაწყვეტა საჭირო აღარ შეიქმნა.

დასასრულ თავმჯდომარემ სთხოვა კრებას პრინციპიალურად გამოვსთქვათ ჩვენი აზრი სამეურნეო სასწავლებლის შესახებ, რადგან ჩვენგან ამორჩეულმა კომისიამ ეს საგანი წამოაყენა წინ და სასურველად დაინახა სამეურნეო სასწავლებლის დაარსებაო. ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია. ჩამოვარდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეგ საგანი ჯერ მომწიფებული არ არის და გადაიდოსო. რაკი ამ აზრის გამო კრება ორად განაწილდა, თავმჯდომარემ ყუთებით კენჭი უყარა ამ საკითხს: გადაიდოს ბჭობა სამეურნეო სასწავლებლის შესახებ, თუ ეს საგანი ამ კრებაზედვე იქმნას გადაწყვეტილიო. კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა, ეხლავე გადაწყდეს ეს საგანიო.

თ. ი. გ. მაჩაბელი და მ. ვ. მაჩაბელი. ჩვენის აზრით ეგ საგანი ჯერ საკმაოდ მომწიფებული და განბჭობილი არ არის. ხოლო რა-კი კრებამ გარდასწყვიტა მაგ საკითხის ეხლავე დაბოლოვება და ჩვენ-კი არ თანავუგრძნობთ, კრებას თავს ვანებებთ და მივდივართ. ჩვენ მაგ საგნის შესახებ არც არას თქმა გვინდა და არც ჰოსიო.

ამის შემდეგ ორივე ორატორმა თავის მომხრეებით კრებას თავი დანებეს.

კრებამ თავისის დადგენილების თანახმად კენჭი უყარა სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საგანს და ერთხმად გარდასწყვიტა: სასურველად იქმნას მიჩნეული სამეურნეო სასწავლებლის დაარსება და ეს საგანი ამ საგანგებო კრებაზედვე გარდასწყდესო.

თავმჯდომარემ ნაშუაღამევის ორს საათზედ კრება გადასდო მეორე დღისათვის.

—

### მეორე დღის კრება.

—

გუშინ, კვირას, 24 დეკემბერს, კრება დაიწყო დილის 12 საათზედ. ბ-ნ რ. ნ. ყაზიბეგის თავმჯდომარეობით. სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საქმემ კვლავ დიდი ბაასი გამოიწვია. დასასრულ გადაწყვეტილ იქმნა, ამორჩეულ იქმნას კომისია და იმას მიენდოს, როგორც ის, თუ რა სახის სასწავლებელი იქმნას დაარსებული, ისე ის, თუ რა საშუალებით იქმნას დაარსებული იგი. შემდეგ ფეხზე ადგომის ხსენებულ კომისსიის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. კ. მ. ამირეჯიბი, ა. ს. ფირალოვი, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ი. პ. როსტომაშვილი, გ. გ. დეკანოზიშვილი, ი. ს. გოგებაშვილი და აგრონომი ყავრიშვილი.

ამავე კრებაზედ ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ დიდად სასურველია დედათა სასწავლებელი იქმნას დაარსებულიო. კრებამ გადასწყვიტა: მიენდოს დედათა განზრახულს სასწავლებლის ქალთა კომიტეტს შეადგინონ კომისია, მოიწვიონ გარეშე პირნიც და საერთო ძალით შეიმუშაონ პროექტი მომავალის დედათა სასწავლებლისა. როდესაც ორივე ზემოხსენებული კომისსია დაამთავრებს თავისს საქმეს, უნდა შესდგეს შეერთებული კრება ორისავე კომისიისა და სათავად-აზნაურო სასწავლებლის გამგე კომიტეტისა, განხილულ იქმნას კვლავ პროექტი საერთო შეთანხმებით სამეურნეო და დედათა სასწავლებლისა, და ამ გვარად შემუშავებული წარედგინოს მომავალს სათავად-აზნაურო ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ სასწავლებლის მორიგს კრებას.

ამ საგანთა გადაწყვეტის შემდეგ კრება დაიშალა.

## ჩვენი დაუდევრობა.

—

საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებიდამ რამდენიმე წერილი მოგვივიდა, რომელთა ავტორები გვეკითხებიან—არსდება თუ არა კომიტეტი წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა დასახმარებლადაო.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, რა პასუხი გავცეთ ამ პირთ. რაც ჩვენ ვიცოდით ამ საგნის შესახებ, ის უკვე განვუზიარეთ მკითხველთ. სახელდობრ, ჩვენ შევატყობინეთ, რომ ერთმა დიდად პატივცემულმა მოღვაწემ აღძრა კერძო შუამდგომლობა ადგილობრივ უმაღლეს მმართველობის წინაშე, რომ ნება დაერთოთ კომიტეტის დაარსებისა. ამ შუამდგომლობას მმართველობა თანაგრძნობით მიეგება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნება-რთვა პეტერბურგში უნდა იქმნას აღებული და შუამდგომლობა რომელიმე ოფიციალურმა დაწესებულებამ ან პირმა უნდა აღძრას.

რადგანაც უმთავრესად ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი დაზარალა წყალ-დიდობამ, ამიტომ აზრი დაიბადა ქუთაისის რომელიმე დაწესებულებამ ითხოვოსო; ჩვენც საუკეთესოდ დავინახეთ ეს და დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა წინამძღოლს გაზეთის საშუალებით ვთხოვეთ—გასძღოლოდა ამ საქმეს. დღემდის ქუთაისიდამ ამ საქმის შესახებ არა ისმის რა, სჩანს იქ მოუხერხებლად დაუნახავთ კომიტეტის დაარსებისა და საზოგადოდ დახმარების ორგანიზაციის თავის თავზე აღება. ასე რომ საქმე გაჩერებულია და არც ის ვიცით, ფიქრობს თუ არა ვინმე მის ადგილიდამ დაძვრას?!..

ტფილისში დაზარალებულთა სასარგებლოდ რამდენიმე წარმოდგენა გაიმართა, ჩვენს გაზეთშიაც მოვიდა ცოტაოდენი შეწირულება, ბაქოდან და კავკავიდამაც მივიღეთ ცნობა, რომ იქაც აპირებენ ამ საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენების გამართვას, მოსკოვსა და კიევშიაც ჰზრუნავენ ამ საქმისათვის... ამ გზით ცოტა ფული შეგროვდება, მაგრამ ამ ფულსაც კარგი განაწილება უნდა და ამისთვის უთუოდ საჭიროა ცენტრალური კომიტეტი დაარსდეს; მა-

---

ფორა. უეჭველად უნდა დავიჯეროთ იმის სიტყვა: წავიდეთ იმ ადგილას, სადაც ეს ნათლის სვეტი არის დამდგარი და ვნახოთ. არ შეიძლება რამე სასწაული არ იყოს, სთქვა ოჯახის უფროსმა ებრაელმა, რომელსაც ყველანი დიდის სიამოვნებით დაეთანხმნენ.

ჯერ კიდევ ალიონი არ იყო მოწეული, რომ სეფორა და მასთან თითქმის მთელი სოფელი გზას გაუდგნენ. მთელი არე-მარე გაჩირაღდნებული იყო ციურის სხივით. სეფორამ შინ დასტოვა თავისი შვილი და კარგად არც-კი გაუმხელია, სად მიდიოდა, მაგრამ ეზოს გასცდა თუ არა, იაკობი საჩქაროდ წამოდგა და გამოუდგა დედას. თითქმის ნახევარი გზა ისე გაიარეს, რომ არც-კი შეუნიშნავთ, თუ ამოდენა ხალხში ეს პატარა ბავშვი ერია და ხმა ამოუღებლად იმიტომ მიდიოდა, რომ დედამ არ დამაბრუნოს სახლშიო.

— ოჰ, შენც მოფრინდი, ჩემო მტრედუნია,—მიუალერსა პატარამ თავისს მტრედს, რომელიც მასთან მიჰფრინდა და მხარზე დააჯდა,—რა ნაირად მიპოვნე, შე ეშმაკო, ჯერ ხომ ისევ გეძინა!.. უთხრა იაკობმა მტრედს და გადაუსო ხელი ლამაზ თავსა და ფრთებზე.

— რა მოგარბენინებდა, შვილო, ხომ გითხარი აქვე, სოფლის გადაღმა გადავიხედავ და ახლავე მოვალ-მეთქი, საყვედურით უთხრა დედამ იაკობს, მაგრამ თანაც მშობლიურის ალერსით ხელი დაადო თავზე.

— ნუ გამიწყრები, ჩემო დედა! მინდა მეც შენთან ვიყო და ეს ჩემი მტრედიც ჩემთან გამოფრინდა. ხედავ, დედა, რანაირად მიპოვნა! როგორც გამოვცდით ჩვენს ეზოს, საშინელი ფართხალი გავიგონე, თურმე რაღაც ნაირად ამოძვრა ბუდეში და გამოსწია ჩემსკენ,—ალბად გათენებული ეგონა. ვუყვარვარ ჩემ მტრედუნიას, ვუყვარვარ, ხომ შე ეშმაკო, ხომ? ტკბილის გრძნობით უთხრა იაკობმა თავისს მტრედს და გულში ჩაიხუტა.

მგზავრები რამდენადაც უფრო უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, სადაც ნათლის სვეტი იყო დაბჯენილი, იმდენად უფრო მკრთალად ეჩვენებოდათ სხივი, რადგან თითქმის გათენებამაც მოატანა.

აგერ, მიადგნენ კიდეცა გამოქვაბულს კლდეს და ყველას გული წინად გრძნობით არის აღვსილი: უთუოდ ღვთის სასწაული რამე უნდა იყოს ამ სხივოსან სვეტს ქვეშაო. მოხუცი ებრაელი მიუახლოვდა ქვაბიდგან გამოსულს მწყემსებს და ნელის ხმით ჰკითხა:

— იქნება იცით რამე, მიიხარით, რას მოასწავებს ეს ნათლის სვეტი აქ?

— რა ვიცით!.. მძინარეს ჩამოგვესმა მშვენიერი ხმა, რომელიც ზეციდამ მოდიოდა, გავიღვიძეთ და ეს ნათლის სვეტი დავინახეთ. ჯერ ძალიან შეგვეშინდა, მაგრამ მაინც გავბედეთ და გამოვყევით სინათლეს, რომელმაც ამ გამოქვაბულს მოგვაყენა. აქ წინად ყველა ჩვენგანს შეგვიფარებია თავი ავდრის დროს, მაგრამ დღეს-კი სულ სხვა ვინმე დაგვიხვდა ამ ადგილას. ახლად შობილი ძე, რომელსაც ეს ნათლის სვეტი დაჰნათის, გვერდით უწევს თავისს დედას და მოხუცი მამა სასოებით შეჰყურებს მათ.

საწყალი, რა ღარიბი ყოფილა, რომ ამ ადგილის მეტი ბინა ვერ მოუძებნია მშობიარესათვის.—წამოიძახეს ერთხმად ებრაელთა დედაკაცებმა.

— ამის გაგონებაზე სეფორას გული აუჩქვილდა და განუსაზღვრელი სიბრალული იგრძნო. საშინლად მოუნდა ახლად დაბადებულის ბავშვის და იმის მშობლების ნახვა და მართლაც ყველაზე წინ ის წავიდა. სეფორას სხვებიც გაჰყვნენ. მაგრამ პატარა იაკობს-კი ვერც დედამ და ვერც სხვამ ვერ მოასწრო გამოქვაბულში შესვლა.

— დედა, რა კარგია, რა მშვენიერია, ეს ბავშვი! სიხარულით დაიძახა იაკობმა, როდესაც სხივებით გაბრწყინვებულს ბავშვს დაჰხედა. სეფორა პირქვე დაემხო ღვთის-მშობლის წინაშე და ახლად დაბადებულს ყრმას თაყვანისცა სათნოებით აღვსილმა დედაკაცმა. ამასობაში სხვებიც შევიდნენ გამოქვაბულში და საერთო სიხარულის ხმა გაისმა ხალხთა შორის. ქვეყნიურსა და ციურს ღაღადს უერთდებოდა პატარა იაკობის გულ-წრფელი ხმაც, რომელიც ჩჩვილის დანახვამ აუთრთოლა და საამურად აუკანკალა, ის მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ოჰ, რა კარგია, რა კარგიაო“.

ველარ მოითმინა პატარა იაკობმა, ბავშვურის სითამამით მიუახლოვდა სახე გაბრწყინვებულს ყრმას და საღმრთო ბეჭდით აღბეჭდილს შუბლზე მხურვალეს გრძნობით ეამბორა.

— აი, შენი ჭირიმე, შენსავით პატარაა ესეც, გიჭუკჭუკებს, დაგატკბობს, ჩემო პატარავ, მიუალერსა იაკობმა და თავისი ლამაზი მტრედი მხრიდგან გადმოიყვანა და გვერდით მოუსვა ჩჩვილს. იაკობის მტრედი, რომელიც თავისის პატრონის მეტს არავის ეკარებოდა, ისე მშვიდად მოუჯდა გვერდით თავისს ახალს პატრონს და თვისი პაწაწინა თვალებით ისე ალერსიანად შეჰყურებდა, თითქო ამის ხელში გაზრდილიაო.

— იღუღუნე, ჩემო მტრედუნია, იღუღუნე, ჩაულაპარაკა იაკობმა და ჩაიცინა.

ძალიან გულ-წრფელი იყო ეს პირველი ამბორი და მსხვერპლი პატარა ყრმისა ყრმის მიმართ... და როცა ეს საკვირველი მოძღვარი გაიზარდა და იაკობიც განუშორებლად თან ახლდა მას, ხშირად იტყოდა ხოლმე: „ის იყო პირველი ამბორი, რომელიც მშობლის ამბორზე უფრო წრფელი იყო. არასოდეს აღარ შეიძლება განმიმეორდეს ისეთი გრძნობა, რაც მე სრულიად უსუსურმა ყრმამ ვიგრძენ და თუ ოდესმე კიდევ სახეზე მეამბორა ვინმე, უთუოდ სამტრო და სალალატო იქმნებაო“.

განდეგილი.

23 დეკემბერს, 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ შემოწირულებაც მეტი შემოვა უთუოდ!..

ვინ იცის, რამდენი ქართველი გლეხი ამ უქმე დღეებზე, როდესაც ჩვენ ბალებითა და წარმოდგენებით, ქეიფითა და ლხინით, დროს გატარებას შევუდგებით, უსახლ-კარო და ულუკმა-პურო მიეგებება დღესასწაულებს!..

ვინ იცის, რამდენი ქართული ოჯახი წელში გასწყვიტა მოულოდნელმა უბედურებამ?!.

განა შესაძლებელია ჩვეულებრივი გულგრილობა და დაუდევრობა გამოვიჩინოთ ამ შემთხვევაშიაც?!

## დაკარგული სიტყვა.

(ზღაპარი კატულ მენდესისა).

### I

ოდესღაც, რომელიღაც ფერიამ, ყვავილსავით მშვენიერმა, მაგრამ იმ ყვავილშივე დამალულ გველსავით ბოროტმა, განიზრახა ერთი დიდი ქვეყნის მცხოვრებლების შურისძიება. სად მდებარეობდა ეს ქვეყანა? მთაში, ბარში, წყლის პირად თუ ზღვის ახლო—ამის შესახებ ისტორია არას მოგვითხრობს.

რამ გააჯავრა ფერია? არც ეს ვიცით. ალბად ხელმწიფის ქალის ნათლობაში არ დაუპატიჟნიათ. თქვენთვის მიგვინდვია ამ საგნის გადაწყვეტა, ოღონდ იმას-კი ნუ დაივიწყებთ, რომ ფერია მართლაც ძლიერ გაჯავრებული იყო.

ბევრი იფიქრა ფერიამ, როგორ ამოეყარა ამ ქვეყნის ჯავრი: გადაეწვა ყველა სასახლეები და ყველა ქოხები ათი-ათასი პატარა არსებათა შემწეობით, თუ ბრძანება გაეცა, რომ რაც სახელმწიფოში ვარდი და შროშანი იყო, ერთიანად მოესპოთ—ან კიდევ—დამჭკნარ ვაშლსავით ჩანაოჭებულ ლოყებიან ბებრებად ექცია ყველა იმ სამეფოის ლამაზი ქალები? მას შეეძლო ამის გარდა კომლით აევსო მათი ქუჩები, მზე სხვა გზით წაეყვანა, რათა ამ საძაგელ ქვეყნისათვის მისი სხივები აეშორებინა. მას შეეძლო მეხი დაეცა, დაემხო, დაექცია ყველა ხე და შენობა. მაგრამ ფერია სხვა უფრო საშინელ განზრახვას დაადგა. როგორც ქურდი იპარავს საუკეთესო ნივთებს ყუთიდამ, აგრეთვე მან მოჰპარა ადამიანთა მეხსიერებას უძვირფასესი სიტყვა: „მიყვარხარ“.

ამნაირმა შურისძიებამ იგი დააკმაყოფილა და ისეთ ნაირად გაიცინა, რომ მისი სიცილი სატანის ხარხარს ეგვანებოდა, და სრულიად არ შეეფერებოდა მის მშვენიერს ლალის ფერს ბაგეთ.

პირველად ადამიანმა ვერ გაიგო რა მოხდა; გრძნობდნენ კი,—რომ რაღაც აკლიათ, მაგრამ ვერ მიმხვდარიყვნენ შეყვარებულნი, რომელთაც „რანდევუ“ დაენიშნათ საღამოს, ბნელს ხეივანში, ან ცოლქმარნი, რომელნიც მშვიდობიანად ისხდნენ სარკმელთან და ოცნებობდნენ მომავალს ბედნიერებაზედ,—უეცრად ჰშორდებოდნენ ერთმანეთს და კოცნას თავს ანებებდნენ. გრძნობდნენ, რომ რაღაც ჩვეულის სიტყვის თქმა უნდოდათ, მაგრამ დაჰვიწყებოდათ... ჰკვირობდნენ, ნაღვლობდნენ და სრულებით კი არ სცდილობდნენ ამ სიტყვის მოგონებას.

ჯერ კიდევ ისე ძლიერად არ იტანჯებოდნენ: სანუგეშოდ მათ დარჩენოდათ სხვა ბევრი სასიამოვნო სიტყვა, კოცნა და ალერსი. მაგრამ—ვაი თქვენს მტერს.—მალე ყველა დაღონდა, სიყვარულმა დაჰკარგა თავისი მშვენიერება, ამიტომ უწოდებდნენ ერთი მეორეს ნაზ სახელებს, ნაზად ეალერსებოდნენ ერთი მეორეს, ეფიცებოდნენ, რომ მზად არიან სასიკვდილოდ თავის საყვარლისათვის. ამიტომ იმეორებდნენ: „ჩემო სულო! ჩემო სიცოცხლევ! „ჩემო ოცნებავ!“ ინსტინქტი მოითხოვდა სხვა სიტყვის თქმას და გაგონებას, და მის მოგონებაზედ სასოწარკვეთილნი ყველანი მწუხარებით იგონებდნენ იმ აღტაცებას, რომელიც მასში იყო ჩასახული. მწუხარებამ გამოიწვია შფოთი, რადგან გატაცებულსა და გულ-წრფელ ხვევნა-კოცნაში ვეღარ ჰპოულობდნენ სრულ ბედნიერებას. შეყვარებულნი ერთი ერთმანეთისაგან თხოულობდნენ რაღასაც, და თითონაც კი არ იცოდნენ, რას თხოულობდნენ: ისეთს სიამოვნებას, რომელსაც ვერც ერთი მათგანი ვერ მიანიჭებდა მეორეს. ეხლა გულ-გრილობას და ღალატს სწამებდნენ ერთი მეორეს. აღარავის არა ჰსწამდა სიყვარული, რადგანაც ჩვეულებრივად გამოთქმული არ იყო. თავი დაანებეს „რანდევუ“-ს ბნელ ხეივნებში, საწოლ ოთახებშიაც აღარა ისმოდა რა, გარდა უგემური ლაპარაკისა.

რა ადგილი აქვს სიხარულს იქ, სადაც არ არის სიყვარული? ვერაფერი ამაოხრებელი ომი, ვერავითარი საშინელი ჭირი ვერ ღაალონებ და ამ ქვეყანას ისე, როგორათაც ამ ერთის სიტყვის დაკარგვა.

### II

იყო ამ ქვეყანაში პოეტი; ის ეხლა მეტად საბრალო იყო, მით-კი არა, რომ მას სხვაზედ მეტი საყვარელი ჰყავდა და მათთან ჩურჩული არ შეეძლო, ან და მოპარულ სიტყვას ათასნაირად ვეღარ აბრუნებდა. არა მას მეტად უყვარდა ლექსები და საარშიყოდ, აბა სადღა ექნებოდა მოცლა. სხვა ცეცხლი უდაგავდა საბრალო პოეტს გულს: მას ვერ დაებოლოვებინა პოემა, რომელიც იმ დღის წინედ დაიწყო, როცა ფერიამ თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. რატომ? პოემა უნდა დაბოლოვებულიყო ამ სიტყვით:

— მიყვარხარ!

სხვა ნაირად დაბოლოვება შეუძლებელი იყო. პოეტი ისრესდა შუბლს, იფხანდა თავს და თავის თავსავე ეკითხებოდა:

— ხომ არ შევშლილვარ?

კარგად ახსოვდა, რომ, მინამ წერას დაიწყებდა, მას დამზადებული ჰქონდა კიდევაც ის სიტყვა, რომლის ადგილიც, მარტო ეხლა განკვირვებითს ნიშანს დაეკავებია. ამასავე მოწმობდა რითმაც, რომელიც ელოდა ამხანაგს. რითმა დამზგავსებოდა ვნებით გატაცებულს ბაგეს, რომელიც მიისწრაფვის მეორე ბაგისადმი. პოეტს დავიწყებოდა რითმა; მას ისიც ვერ მოეგონა, იცოდა ის რითმა როდისმე თუ არა.

ეს იყო რაღაც გამოურკვეველი საიდუმლო. ამაზედ ჰფიქრობდა სევდით მოცული პოეტი. ტყის პირას იჯდა—წყნარად მოჩუხჩუხე წყლის პირას, სადაც მთვარის შუქზედ მოჰფრინდებოდნენ ხოლმე ფერიები და მართავდნენ ცეკვა-თამაშს. ერთხელ შემთხვევით ქურდმა ფერიამ დაინახა შტოებს შორის მოწყენილი პოეტი და მეტად შეუყვარდა. ფერიებს, ხომ მოგეხსენებათ, არ უყვართ ბევრი ცდა: რასაც მოისურვებენ, იმ წამსვე უნდა აღასრულონ; ეს ფერიაც ნაზად დაეკონა პოეტის ტუჩებს თავის მხურვალე ბაგეთი როგორც პეპელა ყვავილსა.

აღფრთოვანებულმა პოეტმაც, თუმცა ძლიერ გატაცებული იყო თავის პოემით, სიამოვნებით უგო პასუხი ფერიას ალერსს. მაშინ მიწის სიღრმეში გამოჩნდა ალმასის, იაგუნდისა და ლაჟვარდის გამოქვაბულები და ბულბულებით სავსე მშვენიერი ბაღები. შეყვარებულნი ოქროს ეტლში ჩასხდნენ, რომელშიაც ღამურები ებნენ და გასწიეს.

იქ ფერია და პოეტი სიამოვნებით ატარებდნენ დროს კოცნა-ხვევნაში, ალერსში და სიცილში, და თუ ერთ წამს მაინც აშორებდნენ ერთი მეორეს თვალს დ ბაგეს, მხოლოდ მისთვის, რომ სხვა ტკბილ და მომხიბლველ სიამოვნებისათვის მიეცათ თავი. მათ წინ იისფერ ატლასით მორთული გრძნეულნი და ბუნდოვანი მოჩვენებანი შადრევანის გარშემო ხტოდენ უჩინარი ორკესტრის ხმაზედ; მფრინავ სულებს ლალის კალათებით მოჰქონდათ ახალგაზდა ქალის მკერდსავით ნაზი და ვარდივით სუნელოვანი ხილი. ან კიდევ ფერიას სასიამოვნოდ პოეტი ამბობდა საუკეთესო ლექსებს და თანაც ფანტურს უკრავდა. ფერია ეშხით თვრებოდა ახალგაზდა პოეტის ლექსების გაგონებაზედ; ისიც ყოველ დღე ახალ-ახალ ლექსებს სთხზავდა და ყველას-კი ერთი საგანი ჰქონდა—ფერიას სილამაზე. ასე ბედნიერად მიმდინარეობდა მათი დღეები მაგრამ, ერთხელ პოეტმა დაინახა უცნაურად დაფიქრებული ფერია: ფერია იჯდა წყლის პირას; თავი ისე მძიმედ ჩაეღუნა, რომ მისი გრძელი ნაწნავები წყალში ეყარა.

— ოჰ, მშვენიერო!—უთხრა პოეტმა:—რამ დაგაღონა? რაღა გაკლია ამდენ სიამოვნებათა შორის შენ—ძლიერს და მშვენიერს ფერიას!

ფერია ხმას არ იღებდა; პოეტი არ ეშვებოდა.

— ვაიმე!—ამოიხვნეშა ფერიამ:—ვერ გადვურჩები ტანჯვას, რომელიც ჩემგანვე ჩადენილ ბოროტებამ მომაყენა. ვერასოდეს ვერ გავიგონებ შენგან ამ ტკბილ სიტყვას:

— „მიყვარხარ“!

პოეტმა სიხარულით შეჰკივლა: „ვიპოვე პოემის დასაბოლოვებელი სიტყვა!“ ამიტომ სცდილობდა ფერია მის გაჩერებას ლაჟვარდისა და ლალის გამოქვაბულში და ვარსკვლავის მზგავს შროშანათი სავსე ბაღებში.

პოეტი გაშორდა და შინ დაბრუნდა, დააბოლოვა, გადასწერა და გამოსცა თავისი პოემა, რომელშიაც უბედურ ქვეყნის მცხოვრებლებმა ამოიკითხეს დაკარგული სიტყვა... ისევ გახშირდა ბნელ ხეივნებში „რანდევუ“, ისევ გამეფდა ოთახებში ალერსიანი ჩურჩული...

ლექსი ატკბობს კოცნას. შეყვარებულნი მხოლოდ იმას იმეორებენ, რასაც სწერენ პოეტები.

ივ. ზურაბიშვილი.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** „ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ის პარისელი კორესპონდენტი აღგვიწერს იმ მღელვარებას, რომელიც გაზ. „ფრანს“-ის მიერ გამოცხადებულმა პანამის საქმეში მოსყიდულ კაცების სიამ გამოიწვია. „დღეს,—სწერს გერმანულ გაზეთის კორესპონდენტი,—პარლამენტში ისეთივე მოძრაობაა, როგორიც პანამის საქმის გამომჟღავნების დროს იყო. ყველანი წინ და უკან გარბოდ გამორბოდნენ აღელვებულნი; ყველა საშინლად წამოჭარხლებული იყო, ხელებს აქნევდნენ, ზოგიერთთკი ცრემლებიც გადმოჰყარეს. მოსჩანდნენ ყველგან გუნდ-გუნდად შემოკრებილნი, რომელთა შორისაც უთუოდ იდგა ვინმე და ხმა-მაღლად უმტკიცებდა თავისს უდანაშაულობას“. „ფრანს“-ის მიერ გამოქვეყნებული ამბები დიდის ნდობის ღირსნი არ არიან და ამიტომ ყველას მხოლოდ ის აინტერესებს, ვინ ჰხელმძღვანელობს ამ ახალს კომპანიას. ზოგნი კონსტანს ასახელებენ, სხვანი-კი—ანდრიეს. ეჭვს გარეშეა, რომ ამ საქმეს საპოლიტიკო აზრი აქვს, რადგანაც სიაში მოხსენებულნი არიან მხოლოდ ისინი, ვინც რადიკალთა პარტიას ეკუთვნიან. ამიტომ ეს სია დიდს ეჭვსა ჰბადებს, რომ სიაში მართლა ის პირნი იყვნენ აღნიშნულნი, რომელნიც საქმეში ერივნენ, რადგანაც სიაში ჩამოთვლილნი არიან ყოვლად პატიოსანნი პირნი, ან-და ისინი, ვისაც დიდი შეძლება აქვს და პანამის საქმის გამომჟღავნების დროს მონაწილეობას იღებდნენო.

პარლამენტის ოთხმა მოღვაწემ, რომელნიც სიაში არიან მოხსენებულნი, რესპუბლიკის ბრალმდებელს მიჰმართეს საჩივრით და სასამართლო ბთავრობამ განკარგულება მოახდინა ხსენებულის გაზეთის რედაქცია გაეჩხრიკათ, თუმცა, როგორც ხმა ისმის, არავითარი სასურველი შედეგი არ მოჰყოლია ამას.

—

განხილვა იმ ქაღალდებისა, რომელნიც არტონს ეკუთვნიან, სწარმოებს, თუმცა-კი ამ განხილვამ ჯერჯერობით ვერაფერი გამოარკვია იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება ჰქონია არტონს სხვა-და-სხვა მოღვაწეებთან საპოლიტიკო ასპარეზზე. აგრეთვე ვერაფერი გამოირკვა იმის შესახებ, თუ როგორ ემალებოდა არტონი საფრანგეთის მართლმსაჯულებას. უკანასკნელად გასჩხრიკეს ლაგერერი, რომელსაც თურმე არტონთან დამოკიდებულება ჰქონია ბულანჟისტთა აგიტაციის დროს. იმ ქაღალდებიდგან არაფერი სჩანს ამ დამოკიდებულების შესახებ. რადგანაც არტონი სულ რამდენჯერმე შეხვედრია ლაგერერს და ისიც იმ გაზეთის გამო, რომლის გამომცემელიც ლაგერერია. სხვა პირთა გაჩხრეკამაც ვერაფერი აღმოაჩინა; ამის გამო, შესაძლებელია, პროცესსი არტონის შესახებ ისე გათავდეს, რომ სხვები არ ჩაურიონ ამ საქმეში, თუ, რასაკვირველია, თვით უმთავრესი დამნაშავე მთელის ამ ისტორიისა არ მოისურვებს—თავისი წინანდელი ამხანაგები გახვიოს პროცესში.

—

**ინგლისი.** იკლო შეერთებულ შტატების ომის სურვილმა და ინგლისის საზოგადოებასა და ჟურნალ-გაზეთობის შორისაც ამერიკელების შესახებ მშვიდობიანი კილო უფრო გაძლიერდა. „დაილი ქრონიკლ“-ი სრულის ნდობით ეპყრობა ვენესუელის კომისიას და იმედი აქვს იგი ღირსეულ პირთაგან შესდგება. პარლამენტის წევრმა გენტერმა, რომელიც დიდხანს იყო ლონდონის უნივერსიტეტში რომის უფლების პროფესსორად, წინადადება წარუდგინა: საერთაშორისო უფლების პროფესსორთაგან სამუდამო კომისია შესდგეს საერთაშორისო საკითხთა გამოსარკვევად, საკითხ თა, როგორიც ინგლისსა, ვენესუელასა და შეერთებულს შტატებს შორის აღიძრა ამ ჟამად; ეჭვი არ არის, კომისიის დასკვნას სავალდებულო ძალი არ ექმნება. რამდენმამე ინგლისელმა მწერალმა და მათ შორის ჯონ მორლეიმ, ლეკკიმ, ვალტერ ბეზანტმა, რესკინმა და სხ. შობა დღეს დეპეშით მიჰმართეს ამერიკელ მწერლებს და მოაგონეს, რომ დიდს ბრიტანიასა და შეერთებულ შტატებს შორის ომი მხოლოდ ინგლისის ლიტერატურას დასცემდა. ასეთისავე შესარიგებელ მოწოდებით მიჰმართეს თავისს მოძმეთ ატლანტის ზღვის იქით ინგლისის სამღვდელოების წარმომადგენელთ, ლონდონის უნიტარიებმა, მეტოდისტებმა და შოტლანდელმა პრესვიტერიანებმა.

—

**ინდოეთი.** 27 დეკემბერს, პუნში მოხდა ინდოეთის ნაციონალური კრება. ეს მეათე წელიწადია, რაც ეს კონგრესი იკრიბება და ამიტომ ამ კონგრესის გახსნას დიდის აღტაცებით მიეგება ხალხი. „რეიტერის სააგენტოს“ ცნობით ამ კონგრესს დაესწრო 1600 დელეგატი და 4000-მდე ხალხი. ათის წლის განმავლობაში კონგრესმა დიდი სამსახური გაუწია ქვეყანას. ყველაზედ უფრო შესანიშნავი საქმე, რომელიც კონგრესმა მოახდინა, ის იყო, რომ მის გავლენით ინგლისის მთავრობამ ნება დართო და ადგილობრივს საკანონმდებლო საბჭოებში მკვიდრთა წარმომადგენელნიც მიიღო. კონგრესმა გამოაღვიძა ინდოეთის საზოგადოებრივი თვითცნობიერება და მით ინგლისი იძულებელ-ჰყო ყური ათხოვოს ინდოეთის მკვიდრთა მოთხოვნილებათა და თხოვნათა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ბუნება ადამიანისა, მისი მამა-პაპური თვითება და თვისება მეტის-მეტად ძლიერია და მისი გადაკეთება, გადაცვლა, გადაგვარება და ამოფხვრა თვით ცივილიზაციას და კულტურასაც ვერ შესძლებია ისე ადვილად, როგორც ზოგიერთს წარმოდგენილი აქვს. ამისი საოცარი მაგალითები, არა ერთი და ორია მეცნიერებაში. აი იგი მაგალითები.

ერთი პატარა ბალღი ბოტოკუდი *) აუყვანია გასაზრდელად ერთს განათლებულს ოჯახს. მიუციათ იგი გიმნაზიაში, მერე

*) ბოტოკუდი—ესე ეძახიან ერთ გვარს ველურს ხალხს ბრაზილიაში. ეს ხალხი სცხოვრებს დაბურულ ტყეებში, არ იციან რა არის ტანთ-საცმელი და დედი-შობილა დაიარებიან. ყურებში და ტუჩებში გაიყრიან ხოლმე სხვა-და-სხვა ზიზილ-პიპილს სამკაულად.

უნივერსიტეტში, საცა სრული კურსი შეუსრულებია და დოქტორის დიპლომი მიუღია. რამდენსამე ხანს იგი მკურნალობდა კიდეც ერთს ქალაქში. ხასიათით მეტად მოღრუბლული და სევდიანი ყოფილა. ერთხელ უეცრად დაკარგულა და გამქრალა. გასულა რამდენიმე წელიწადი და მისთა გამზრდელთ მოსვლიათ უტყუარი ამბავი, რომ მათს გაზდილს გაუძვრია ტანისამოსი და შიშველი დაიარება დაბურულ ტყეებში თავისს თვის-ტომ ხალხთან ერთად. სწორედ ამისთანავე ამბავს იუწყება მეცნიერი დობრიცჰოფერი შესახებ ერთის აბიპონისა.*)

ამგისთანავე მაგალითს იუწყება აწ გარდაცვალებული ინგლისის ადმირალი ფიტცერი. ერთი ველურის ხალხის ბაშვი მოუყვანია ამას ინგლისში, სახელად დაურქმევიათ ჯემმი ბეტტონ, გაუზდიათ და ისე ნებიერად ჰყოლიათ, რომ მეტი აღარ შეიძლება. ინგლისის დიდკაცობას ხელი-ხელ სატარებლად ჰყოლიათ ეს გარეული ბაშვი. რომ უკანვე თავისს ქვეყანაში დაებრუნებინათ, ცალკე ხომალდი მოუმართეს, იგი ხომალდი, რომლითაც სახელოვანმა ჩარლზ დარვინმა ქვეყნიერობას გარს შემოუარა. ჯემმი ბეტტონი, რომელიც ევროპაში ყოველთვის გამოწკეპილის ტანისამოსით დადიოდა, ხელთათმანს და ბრწყინვალე წაღებს ატარებდა, დაბრუნდა თუ არა თავის ქვეყანაში, გაიძრო ესე ყველაფერი და თვისთა თანამოძმეებსავით დედიშობილა, პირუბანელი და თავ-დაუვარცხნელი დაიწყო სიარული ასე, რომ 1855 წელს არაფრით არ განირჩევოდა სხვათა თავისს ველურ მოძმეთაგან.

ამგისთანავე მაგალითს წარმოადგენს ერთი ავსტრალიელი სახელად ბუნგარი. იგი გაიზარდა და სწავლობდა სიდნეის ქალაქში. გიმნაზიაში კარგის სწავლისათვის არა ერთხელ მიუღია ჯილდო, ლათინურად კარგად და დაუბრკოლებლივ ლაპარაკობდა. მაინც და მაინც გულმა და სულმა თავისსაკენ გაიწია, გაექცა იგი ცივილიზაციას, მიეკედლა თავისს თვის-ტომს ველურს ხალხს და მასთან ველურად ყოფნა ირჩია. როცა ჰკითხეს თურმე, რად შვრები ამისთანა საქმესაო, უპასუხა: განათლებამ და აღზდამ სხვა არა მარგო რა გარდა იმისა, რომ გამაგებინა ჩემის თავის უბედურებაო.

ამ გვარივე შემთხვევა ჰქონია ერთს მეცნიერს გეორგ ნეიმეიერს, 1861 წ. მას განუზრახავს ზოგიერთი რამ ცნობა შეეკრიბა ავსტრალიის ველურ ხალხის ცხოვრების შესახებ თვითონ იქაურ ველურ კაცთაგან. იგი მიუყვანიათ ერთ ზანგთან, რომელიც სრულიად ტანშიშველი ყოფილა და ისეთივე ველური სანახაობით, როგორც მისი მოძმენი. გაოცებას ნეიმეიერისას საზღვარი არა ჰქონია, როცა იმ შავს ზანგს დაუწყია ამასთან ლაპარაკი წმინდა და ზედ-მიწევნილ ინგლისურით. მის უბის წიგნში იმ ზანგს დაუხატავს გზა, რომელიც უნდა გაევლო ხსენებულ მეცნიერს და მშვენიერის ხელით ჩაუწერია, რაც ღირს საცნობი ყოფილა ნეიმეიერისათვის. ეს განათლებული შავი ზანგი 24 წლის ყმაწვილი კაცი ყოფილა მაშინ და სწავლა მიუღია ადელაიდში მისსიონერთა სკოლაში, მაგრამ მაინც გვარს გვარისაკენ გაუწევია: იგიც გაჰქცევია ცივილიზაციას და თვის-ტომის ხალხის ცხოვრება ამურჩევია.

ყოველ აქედამ სჩანს, რომ გარეულ, ველურ კაცს თავისუფლება უფრო მეტად და ძვირფასად მიაჩნია, ვიდრე იგი კეთილად მოწყობილი ცხოვრებისა, რომელსაც ცივილიზაცია და კულტურა იძლევა. ნორდენშელდს ერთხელ უკითხავს ერთს ველურ ესკიმოსისათვის: „დანიის წარმომადგენელი გუბერნატორი განა შენზე უფრო მეტი არ არის?“ ველურს ესკიმოსს ამაზე ეს პასუხი, [illegible] თვით-ცნობიერებითა, უთქვამს: „[illegible] ეგრე არ არის. გუბერნატორი [illegible] ჩემზე მდიდარია, დიდი ქონება აქვს და, მგონია, დიდი უფლებაცა. მაგრამ არიან დანიაში იმისთანა კაცები, რომელთა ბრძანებასაც იგი უნდა ემორჩილებოდეს, მე-კი მბძანებელი არა მყავს.“

*) აბიპონები წითელ-ფერა ინდოელნი არიან და სცხოვრებენ ველურად სამხრეთ ამერიკაში. წინად 5000 სულამდე იყო, ამ საუკუნეში მეტად შემცირდა და დღეს თითქმის ამოწყვეტაზეა მისული.

ვთქვათ ყოველივე ეს აიხსნება მით, რომ ველურს კაცს თავის-უფლება ურჩევნია ყველაფერს და მისი ბუნება ამისაკენ იწევს. ხოლო რით უნდა ავხსნათ ეს სარწმუნო მაგალითიდა: ზემოთ-ხსენებული მეცნიერი დობრიცჰოფერი იუწყება, რომ ერთი ისპანიელი მანდილოსანი, დიდის გვარის კაცის ცოლი, ტყვეთ წაუყვანიათ ველურს ხალხს აბიპონებს, რომელნიც ზევითაც მოვიხსენიეთ. მანდილოსანს თან ჰყოლია პატარა შვილები: ერთი ვაჟი და ერთი ქალი. ვიდრე ტყვეობიდამ გამოიხსნიდნენ, ხანი გასულა და ამ ხანის განმავალობაში მისი შვილები იქ გამოზდილან. როცა დაუხსნიათ და დაუპირებიათ თავისს ქვეყანაში დაბრუნება, მანდილოსანის ვაჟი შვილი რაიმონდი და ქალიშვილი დიდს უარზე დამდგარან და ნებით არ სდომებიათ დაბრუნება, ძალად თურმე წამოიყვანეს. (ო. პ).

სიავ-კარგე თავისუფალის, მაგრამ ველურის ცხოვრებისა, ნუ თუ ისეთი ძლიერია, რომ ცივილიზაციაშიც გამოტარებულ ბუნებასა სძლევს და სტეხავს, და ნუ თუ ისეთი ტკბილია იგი ცივილიზაციას მოშორებული ცხოვრება, რომ ასე იზიდავს იქ გაზდილს როგორც ეს უკანასკნელი მაგალითი გვიჩვენებს.

## საღამოს დეპეშა

22 დეკემბერი.

**ლონდონი.** ჯემსონი სამხედრო სასამართლოთი იქნება გასამართლებული; მისი ლაშქარი დაითხოვეს.

24 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** 23 დეკემბერს ლასკერმა მოუგო ჭადრაკი პილსბერის, სტეინიცისა და ჩიგორანის პარტია გარდაიდვა.

**ლონდონი.** გერმანიის იმპერატორის თანაგრძნობის დეპეშამ ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ დიდი უკმაყოფილება, რისხვა და დაცინვა გამოიწვია ინგლისის პრესაში. „გლობი“ ამბობს, რომ იმპერატორის დეპეშა ყურადღების ღირსიც არ არისო. ინგლისი მშვიდობის მოყვარეა, მაგრამ მთელი ბრიტანიის იმპერია ერთ სამხედრო პარტიათ გარდაიქცევა. თუ ვინმემ განიზრახა შემდეგ კლიველენდის და ვილჰელმის სიტყვისა მახვილის აღება მის წინაამდეგ.

ოფიციალურის ცნობით, პრეტორიაში მშვიდობიანობა დამყარდა.

(„ნოვ,“) ამბობენ, ჯემსონი და ორი მისი ადიუტანტი დახვრიტესო.

**კონსტანტინეპოლი.** 20 დეკემბრამდი ურფაში არეულობა არ შემწყდარა; 300-მდე კაცია დახოცილი; ქურთებმა და ბედუნებმა საშინელი მხეცობა ჩაიდინეს.

**სოფია.** ის ხმა, რომ პრინცი ბორისი მართლმადიდებლად უნდა მონათლონ 18 იანვარს, ტყუილი გამოდგა.

პეტერბურგის ბირჟა, 22 დეკემბერი.

| | მყიდველთა. | გამყიდველთა. | გაყიდულა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 7,50 | 7,50 | — „ |
| 5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა | — „ | — „ | 207 |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა | $99\frac{7}{8}$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა | 98 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა | 98 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 98 | — „ |


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
„მოსე ხონელი და მისი ამირან დარეჯანიანი“
წერილი მ. ჯანაშვილისა.
(60 გვ.. ფასი 10 კაპ.)

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—61).

**დაიბეჭდა** და **ისყიდება**
„ტფილისის სომხურ გამომცემელ ამხანაგობისაგან“ გამოცემული
**სურათებიანი ლოტო**
ფასი ექვსი აბაზი,
გაგზავნით შვიდი აბაზი. (1—1)

**ავლაბარი**
ავლაბრის მოედანი, სახლი ჩერქეზიშვილისა, № 3.
22 დეკემბრიდამ ამა წლისა გაიხსნება კაბინეტი კბილის ექიმის
**ო. ს. იენჩმენისა.**
(3—3016—2).

მაქვს ფარჩაზედ დახატული **თამარ დედოფლის** სურათი ბალიშებისათვის, თვითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე **ქართველთა ყველა გამოჩენილის** კაცის სურათი—აბრეშუმის ცხვირ სახოცზედ. თითო ღირს 3 აბაზი—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული აბაზი, 5 შაური და 6 შაური ლამპის საარდილობელი (აბაჟური) **ქართველთა გამოჩენილ მწერლების** სურათებით (6 სურათი)—3 მან.

ტფილისი, კოჩუბეის ქუჩა, დრობიშევის სახლი, № 21, ალექსანდრა როდიონოვისა.

დაიბეჭდა და ისყიდება
გამოცემა ზაქარია გრიქუროვის „კავკასიის წიგნის მაღაზიისა“
**ათას ერთი ღამე**
წიგნი შემკულია ხუთი სურათით.
თარგმანი მოსე ჯანაშვილისა.
ფასი 40 კაპ.
ვინც ერთად 10 ცალს იყიდის ნაღდ ფულად, წიგნი დაეთმობა 32 კაპეიკად. მსყიდველთ უნდა მიჰმართონ გრიქუროვის მაღაზიას. (3—6—3).

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი
**„კვალი“**
გამოვა **1896** წელს ყოველ კვირაში ერთხელ
ერთიდამ სამ თაბახამდის.

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით მან დაიბარა ახლაც პეტერბურგიდამ მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად **7** მანეთი, ხოლო გაგზავნით **8** მანეთი. ნახევარის წლით გაუგზავნელად **3** მან. **50** კაპ., გაგზავნით **4** მანეთი. სამი თვისა გაუგზავნელად **2** მანეთი, გაგზავნით **2** მან. **50** კაპ. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალი“-სა და „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул., д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიანთ მიჰმართონ: ქუთაისში: ვარლამ ჭილაძისა, ვ. ბეჟანიშვილისა, ძმათა წერეთლებისა, ხეთერელის წიგნის მაღაზიებში და ბ-ნ ლაღიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში; ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში და პავილიონში გერ. კალანდაძესთან; ფოთში: მიხეილ თურქიას; მიხაილოვოში (ხაშურში): იოსებ ფანცულაიას; თიონეთში: ივ. ჩიბალაშვილს; გორში: არსენ კალანდაძეს; ჭიათურაში: თედორე კიკვაძეს; ყვირილაში: ბ-ნ არაბიძის წიგნის მაღაზიაში; ახალსენაკში და ოზურგეთში: კ. თავართქილაძეს; საჩხერეში: ყარამან ჩხეიძეს; თელავში: ვ. ბარნოვს.

მომავალი 1896 წლის ხელის-მომწერლებს „კვალი“-სას დაურიგდებათ პრემიათ ახალი რომანი გიორგი წერეთლისა, სახელად **„ბუღდან“.**
რომანი შესდგება სამი ნაწილისაგან.

1896
**„მოამბე“**
თვიური ჟურნალი
(წელიწადი მესამე)
გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში
იმავე პროგრამით
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარედ | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდამ კამისიისა და ფულის გამოგზავნისათვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი Тифлисъ, редакція „Моамбе“.

რედაქციამ მოსახერხებლადა სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.

ПОЛНОЕ
СОБРАНІЕ ГРИГОРОВИЧА
СОЧИНЕНІЙ

Подписчики „НИВЫ“ получаютъ въ **1896 г.**
**52 №№** журнала „НИВЫ“ до 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ.
**12 ТОМОВЪ ПОЛНАГО СОБР. СОЧИНЕНІЙ**
**Д. В. ГРИГОРОВИЧА.**
печат. на хорош. глазиров. бумагѣ.
12 КНИГЪ „ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТ. ПРИЛОЖЕНІЙ“, въ увелич. объемѣ.
12 №№ „Парижскихъ модъ“, заключающихъ въ себѣ въ теченіе года до 300 модныхъ рисунковъ.
12 №№ рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и выкроекъ съ 600 рисунк. и чертежами въ теченіе года.
ПОРТРЕТЪ Государыни Императрицы АЛЕКСАНДРЫ ѲЕОДОРОВНЫ, по оригиналу художника И. С. Галкина, отпечат. въ 27 красокъ, размѣр. 18 вершк. выш. и 14 вершк. ширины.
СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ, отпечатанный красками.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА
за годовое изданіе „НИВЫ“ со всѣми приложеніями:
Безъ доставки въ С.-Петербургѣ . . 5 р.
Съ доставкою въ С.-Петербургѣ . . 6 р. 50 к.
Безъ доставки въ Москвѣ чр. конт. Н. Печковской . . 6 р.
Съ пересылк. во всѣ города и мѣстности Россіи. . 7 р.
ЗА ГРАНИЦУ. . . . 10 р.
Допускается разсрочка платежа въ ДВА и въ ТРИ срока.
Съ требованіями обращаться въ главную Контору журн. „НИВА“, С.-Петербургъ, Малая Морская, 22.

Безплатное приложеніе на 1896 г.
ПРИ ЖУРНАЛѢ
„НИВА“


Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Декабря 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.